საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5249/01
09/06/2020

5249-01-2-202006091644

შპს „ევორდ ფექტორის“ დირექტორს
ბატონ თორნიკე ჭკადუას
მის: *ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, მე-17 კმ.*

ბატონო თორნიკე,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 2 ივნისის N8121 განცხადება, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაკიეთის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალების) გადამამუშავებელი საწარმოს და ბეტონის ქარხნის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- წყალაღებისა და წყალჩაშვების წერტილების GPS კოორდინატები;
- ინფორმაცია სალექარის პარამეტრების და მისი ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;
- საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება (გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა);
- განცხადების მიხედვით, ტერიტორიიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 200 მეტრში, მდ. რიონის კალაპოტის გასწვრივ განლაგებულია ინერტული მასალების მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები. შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება შეფასებული უნდა იყოს ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საწარმოების გათვალისწინებით;
- წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 150 მეტრში ფიქსირდება ფიზიკურ პირზე რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილის შესახებ;

- ინფორმაცია იმის შესახებ, საიდან მოხდება ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული სასარგებლო წიაღისეულის შემოტანა;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული გზების და ტრანსპორტირებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ (დღის განმავლობაში განსახორციელებელი სავარაუდო სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა);
- დაზუსტებას საჭიროებს ქვიშა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს სამუშაო გრაფიკი;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის რაოდენობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში, გვ. 5-ზე მითითებულია, რომ ბეტონის ნაკეთობათა საწარმოს ტექნოლოგიური მოწყობილობები განლაგებული იქნება ღია ცის ქვეშ, ხოლო, გვ. 7-ზე მითითებულია, რომ საწარმოს გააჩნია ბეტონის ნაკეთობათა უბანი რომელიც განთავსებულია დახურულ შენობაში. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიაზე დაგეგმილია მშენებლობა საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №440 დადგენილების (წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) მოთხოვნების მიხედვით;

სამინისტრო აღნიშნულ საქმიანობაზე სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ევორდ ფექტორი“ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენას.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე